

დასწავლის სტრატეგიის გავლენა დასახელების უნარის ბუნებრივ
გარემოში გენერალიზაციაზე აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე
ბავშვებთან

სალომე გაბაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული,
ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

სალომე გაბაძე

17. 06. 2016

აბსტრაქტი

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებს ხშირად განზოგადების სირთულეები ახასიათებთ. მათ უჭირთ დასწავლილი ქცევების გადატანა სხვადასხვა ინდივიდებთან, გარემოსა თუ სტიმულებთან მიმართებაში. აღნიშნული სირთულე ვლინდება ვერბალური ენის განვითარების დროსაც, მოთხოვნისა და დასახელების უნარებში. ბავშვებმა შესაძლოა ისწავლონ საგნის დასახელება ერთ კონკრეტულ ნიმუშზე და გაუჭირდეთ სხვა მსგავსი ობიექტის დასახელება. შესაძლოა ერთ გარემოში დასწავლილი უნარი ვერ განაზოგადონ სხვა გარემოში. მაგალითად, სახლში დასწავლილი ქცევა ვერ განახორციელონ სკოლაში, ან ერთი ადამიანის მიერ დასწავლილი ქცევა მხოლოდ მასთან განახორციელონ. ეს სირთულე ხშირად მშობლებისა და სპეციალისტების იმედგაცრუებას იწვევს. ისინი ფიქრობენ, რომ ბავშვმა დაისწავლა ახალი უნარი, სინამდვილეში კი, ის ამ უნარის საჭიროებისამებრ გამოყენებას ვერ ახერხებს.

საქართველოში მწირია აუტიზმის სპექტრის დარღვევის შესახებ ჩატარებული კვლევები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 7 წელია მნიშვნელოვად გაუმჯობესდა დიაგნოსტიკებისა და ინტერვენციის პროცესი, კვლევითი საქმიანობა ამ ეტაპზე თითქმის არ ხორციელდება.

კვლევა მიზნად ისახავდა დასახელების უნარის განვითარების ტემპსა და განზოგადების პროცესზე დასწავლის სტრატეგიის გავლენის შესახებ ინფორმაციის მიღებას.

კვლევა ჩატარდა მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში. მასში ჩართულები იყვნენ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვები, მათი მშობლები და ქცევითი თერაპევტები. სულ მონაწილეობდა 5 ბავშვი. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი იყო მათ დიაგნოზი და სამეტყველო უნარების განვითარების დონე. ყველა მონაწილის დიაგნოზი

იყო განვითარების პერვაზიული აშლილობა დაუზუსტებელი. სამეტყველო უნარების განვითარების დონის შეფასება ხდებოდა ვერბალური ქცევის ნიშან-სვეტების შეფასების პროგრამის (VB- MAPP) მიხედვით. მნიშვნელოვანი იყო, რომ ცდის პირების მოთხოვნისა და დასახელების უნარი მოთავსებულყო 0-18 თვის არეალში. ეს ნიშნავს, რომ კვლევის დაწყებამდე მათ შეეძლოთ ვერბალურად მოეთხოვათ და დაესახელებინათ მინიმუმ 2 , ხოლო მაქსიმუმ 10 საგანი.

კვლევაში გამოყენებული იყო ექსპერიმენტის მეთოდი. ჯგუფთაშიდა დიზაინის ფარგლებში, ბავშვები თავის თავზე გამოცდიდნენ ცვლადის 2 დონეს: ცალკეული ნიმუშით სწავლება და მრავლობითი ნიმუშით სწავლება. თანმიმდევრობის ეფექტის თავიდან აცილების მიზნით, ისინი სწავლობდნენ სურათებზე ასახული 3 საგნის დასახელებას, რომლის დროსაც ერთმანეთს ენაცვლებოდა დასწავლის ორი სტრატეგია. სურათები შეირჩა მათი ექოს უნარიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანი იყო, რომ ბავშვის მიერ დასახელებული საგნის სახელი გარჩევადი ყოფილიყო უცხო ადამიანისთვის.

შედეგები ნაწილობრივ ეხმიანება საერთაშორისო კვლევების დასკვნებს. შედეგების მიხედვით, ბავშვები უფრო სწრაფად სწავლობენ სურათზე ასახული საგნის დასახელებას მრავლობითი ნიმუშით სწავლების შემთხვევაში, განსხვავებით ცალკეული ნიმუშით სწავლებისგან. ამასთან, ისინი უკეთ ახდენენ ცალკეული ნიმუშით დასწავლილი უნარის განზოგადებას ბუნებრივ გარემოში ერთი ნიმუშით დასწავლილთან შედარებით.

აღნიშნული კვლევის მთავარ შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს მონაწილეების მცირე რაოდენობა, რაც თავის მხრივ არ იძლევა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები : აუტიზმი, განზოგადება, ვერბალური ქცევა, დასახელება, დასწავლის სტრატეგია, ტაქტი

მადლობა

მადლობა მოცემული პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქ-ნ თინათინ ჭინჭარაულს, სამაგისტრო სემინარის კურსის ხელმძღვანელს ქ-ნ ნინო ჯავახიშვილს, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის ბენეფიციარების მშობლებს და ამავე ცენტრის ქცევით თერაპევტებს კვლევის ჩატარებაში გაწეული დახმარებისათვის.